# პროექტი “კვლევის პასუხისმგებლობით წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში (ETHICS)”


დამფინანსებელი: ევროკავშირი, ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების საგრანტო პროგრამა

პროგრამის განაცხადი: ERASMUS-EDU-2022-CBHE-STRAND-3
პროექტის ნომერი: 101082546
პროექტის ხანგრძლივობა: 48 თვე (01/02/2023 – 31/01/2027)



*“Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.”*

2024 წლის 11-19 აპრილს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის ,,კვლევის პასუხისმგებლობიანად წარმართვა – კვლევის კეთილსინდისიერება და ეთიკა ქართულ უნივერსიტეტებში (ETHICS)“ მეორე საერთაშორისო შეხვვედრა.

შეხვედრას მასპინძლობდა ამსტერდამის თავისუფალი უნივერსიტეტი.

მონაწილეებს შორის იყვნენ ათი ქართული და სამი ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, ასევე, ევროპული არასაუნივერსიტეტო პარტნიორი ორგანიზაციები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შოთა რუსთაველის ფონდისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიიდან შეხვედრას ესწრებოდნენ თსს აკადემიის სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევების სამსახურის უფროსი, თამთა თამარ შავგულიძე და თსს აკადემიის მოწვეული ლექტორი ქრისტინე დარჩია.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა კონსორციუმის წევრების მხრიდან, პროექტის განვითარების ეტაპების ანგარიშის წარდგენა. ქართულმა უმაღლესმა სკოლებმა წარადგინეს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ტრენინგების შესახებ ანგარიში, ევროპულმა ორგანიზაციებმა წარადგინეს პროექტში მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მიმდინარე კომპონენტების (კვლევის კეთილსინდისიერების მოდული, სადოქტორო პროგრამის სტანდარტები) განვითარების ანგარიში.

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union

VU VRIJE UNIVERSITEIT AMSTERDAM

# კონსორციუმის მეორე საერთაშორისო შეხვედრა ამსტერდამის თავისუფალ უნივერსიტეტში